დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№ო/02 ბრძანებით (დანართი 5)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის რეგულირების სფერო და მიზნები

1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი (შემდეგში - „წესი“) არეგულირებს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის, განვითარებისა და გაუქმების პროცედურებსა და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი სწავლის უზრუნველყოფის მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების უზრუნველყოფა, დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით ხარისხის კულტურის ამაღლება. ასევე, ისეთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და დამტკიცება

1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომ ტექსტში - „ფაკულტეტი“) დეკანის, აკადემიური პერსონალის, ან საინიციატივო ჯგუფის მიერ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება განპირობებული იყოს შრომის ბაზრის ანალიზით, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების

უკუკავშირით, სტუდენტური გამოკითხვის ანალიზითა და/ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესების ეფექტიანად განხორციელების მიზნით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებითა და დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი პროგრამის სამუშაო კოლეგიური ორგანო - პროგრამის კომიტეტი და მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები, რომელიც ასევე არის პროგრამის კომიტეტის თავმჯდომარე.

3^1. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები;

გ) სტუდენტი/სტუდენტები;

დ) კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;

ე) დამსაქმებელ(ებ)ი/პოტენციური დამსაქმებელ(ებ)ი;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში, კონსულტაციისა და რეკომენდაციების მიწოდების მიზნით, კომიტეტის სხდომას ესწრება (საჭიროების შემთხვევაში) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

3^2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის კომიტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები უზრუნველყოფს /უზრუნველყოფენ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენას;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის ძირითადი ჩარჩოს (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა) შემუშავებას;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას;

დ) მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე პროგრამის პროექტში შესაბამისი ცვლილებების ასახვას;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრას;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას.

4. პროგრამის კომიტეტის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამის მზაობასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი აკეთებენ დასაბუთებულ დასკვნებს და წარუდგენენ ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის დეკანი ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამის, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსების, პროგრამის ბიუჯეტის, ადამიანური და მატერიალური რესურსის ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენას.

5. ფაკულტეტის საბჭო იხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, სილაბუსებსა და თანმდევ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც იღებს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.
6. საგანმანათლებლო პროგრამას მოწონების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო უგზავნის მას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად.
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად გადაეცემა:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამა;
   ბ) სილაბუსები;
   გ) საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
   დ) ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
   ე) პროგრამის ხელმძღვანელისა და დეკანის მიერ პროგრამის შეფასება.
8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას უნივერსიტეტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
9. ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და დადებითი დასკვნის შემთხვევაში წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.
10. რექტორს განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა:
    ა) საგანმანათლებლო პროგრამა;
    ბ) სილაბუსები;
    გ) პროგრამის ხელმძღვანელისა და დეკანის მიერ პროგრამის შეფასება;
    დ) პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სილაბუსების შეფასება;
    ე) პროგრამის ბიუჯეტი;
    ვ) ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
    თ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა.
11. პროგრამას ამტკიცებს რექტორი.

(ცვლილება - პუნქტები 3,3[1],3[2] - რექტორის ბრძანება №/27 - 02.09.2024)

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი მხარეები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კომიტეტი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საფუძველი შეიძლება იყოს:
   ა) პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები;
   ბ) საკანონმდებლო ცვლილებები.
3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებითა და მათი ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტით გაწერილი პროცედურებისა და გარე მექანიზმების (ავტრიზაცია/აკრედიტაცია) გამოყენებით;
   ბ) მონაცემთა დამუშავება - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტის მიერ მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
   გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა/არსებული შედეგების შენარჩუნების გეგმა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტის მიერ;
   დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის /ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტის მიერ პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
   ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შიდასაუნივერსიტეტო აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურა

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად, გარდა პროგრამაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების განხორციელებისას.

1[1]. პროგრამაში ტექნიკური ხასიათის ცვლილება წარმოადგენს იმგვარი ცვლილების განხორციელებას, რომელიც არ იწვევს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების ცვლილებას.

1^2. პროგრამაში ტექნიკური ხასიათის ცვლილება ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადების საფუძველზე, რასაც შესაძლოა საფუძვლად ედოს თავად ხელმძღვანელის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, ან სხვა დაინტერესებული მხარის დასაბუთებული ინიციატივა.

1^3. პროგრამაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების განხორციელების შემდგომი პროცედურები რეგულირდება ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.

(ცვლილება - 1,1^1,1^2,1^3 პუნქტები - რექტორის ბრძანება №/01 – 15.01.2025)

2. პროგრამის ხელმძღვანელი ცვლილებების პროექტს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.
3. ფაკულტეტის დეკანი ცვლილებების პროექტს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ცვლილებების პროექტს და მოწონების შემთხვევაში განსახილველად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებს დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.
6. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ხარისხიდან/მოცულობიდან გამომდინარე უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამა და ცვლილებების განხორციელების მიზეზი და მის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

   ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება სტუდენტი;

   ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

   გ) ფინანსური ან/და სხვა საჭირო რესურსის არარსებობის შემთხვევაში;

დ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით, განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის განხილვის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის კომიტეტთან შეთანხმებით ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების დასაბუთებულ ანგარიშს და სტუდენტთა (არსებობის შემთხვევაში) ინფორმირების გეგმას. ანგარიში განიხილება ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რის შემდეგაც დასკვნისთვის ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნვლეყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხს წარუდგენს რექტორს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და დეტალურად გააცნოს მათ ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პროცედურის შესახებ.
5. უნივერსიტეტი ვალდებულია, ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ გავლილი აკადემიური დისციპლინების მაქსიმალური მოცულობით აღიარებას, რისთვისაც გაფორმებულია შეთანხმება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მოპოვებული კრედიტების აღიარების თაობაზე.
6. სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებულ რექტორის სამართლებრივ აქტში.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

1. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დამტკიცების პროცედურა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურის შემადგენელ ნაწილს.

2. პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის კომპონენტი, განიხილება ფაკულტეტის სხდომაზე და წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.

3. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. პროგრამას ასევე შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს რექტორი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას უნდა უხელმძღვანელოს უნივერსიტეტის პროფესორმა, ან ასოცირებულმა პროფესორმაც.
5. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
6. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო ავტორიზაციის და აკრედიტაციის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო, ან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე.
7. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის ფარგლებში სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე დეკანისათვის წინადადებების წარდგენაზე.
8. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება–განვითარებასთან დაკავშირებულ პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობა.
9. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის კანდიდატურები, მოწვევის აუცილებლობის დასაბუთება და ინფორმაცია შესაბამისი ფინანსური დანახარჯების შესახებ უნდა წარუდგინოს დეკანს.
10. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ აკადემიური პერსონალის მიერ თავის ვალდებულებათა სრულფასოვნად შესრულების მიზნით, პედაგოგიური დატვირთვით (საუდიტორიო საათები), უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკადემიური პერსონალი.
11. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლა ხდება პროგრამაში ცვლილების შეტანის წესის შესაბამისად.
12. პროგრამის ხელმძღვანელი:
ა) მონაწილეობს პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში;

ბ) ჩართულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურეთან ერთად აკეთებს სასწავლო კურსების განმახორციელებელი პროფესორების შეფასების შედეგების ანალიზს;

დ) მონაწილეობს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაში;

ე) დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შეისწავლის უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკასა და ანალოგიურ პროგრამებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და ინოვაციების დანერგვის მიზნით;

ვ) ამზადებს დასაბუთებულ დასკვნას საგანმანათლებლო პროგრამის მზაობასთან დაკავშირებით;

ზ) ასრულებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებს.

12. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია დეკანის წინაშე.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წესი მტკიცდება რექტორის აქტით.
2. წესში ცვლილებები და დამატებები შევიდეს რექტორის აქტით.
3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.